# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 9. | კვირა, 7 ოქტომბერი, 1901 წ. | გაზეთის № 1603.


## სიტყვის ძალა

ანტ. ჩეხოვისა

ეს დიდი ხნის საქმე არ არის. ნაფიცნი მსაჯულნი მთელი დღით იყვნენ დატოვებულნი მოსკოვის საოლქო სასამართლოში და, რაკი საქმე არაფერი ჰქონდათ, გადასწყვიტეს, სანამ დაძინების დრო მოვიდოდა, ყველას, ვისაც კი ღირს შესანიშნავად რამე მიაჩნდა თავისს ცხოვრებაში, ამხანაგებისთვის ეამბნა.



**აბდურახმან-ხანი**, ავგანისტანის ემირი, გარდაიცვალა 20 სექტ.



**ხაბიბულლა-ხანი**, აბდურახმანის უფროსი შვილ ი, ახალი ემირი.

ეს აზრი თანადამსწრეთ შემთხვევით მოუვიდათ: სწორედ იმ დღეს ჰქონდათ მათ შემთხვევა ერთი მოწმეთ დაბარებული კაცი ენახათ, რომელსაც ენა ჩავარდნოდა უცბად და მთლად გაჭალარავებულიყო, მიზეზად კი რაღაც საშინელი სურათი გაჰხდომოდა, რომლისთვისაც რამდენიმე წუთი ეცქირნა. თუმცა ადამიანის ცხოვრება ხან მოკლეა, მაინც ძნელია ისეთი კაცი მოიძებნოს დედამიწის ზურგზედ, რომელსაც რამდენიმე საშინელი წუთი არ გამოეაროს თავისს ცხოვრებაში.

ერთს თურმე თავისი ერთათ ერთი ქალი მოეწამლა შაბიამნით იმისთანა ადგილას, სადაც არც აფთიაქი მოიპოვებოდა და არც ექიმი. ბავშვი კი გადარჩენილიყო, მაგრამ საწყალი მამა კი კინაღამ ჭკუაზედ შემცდარიყო; მეორეს, ჯერ ისევ ყმაწვილს, მაგრამ დაავადებულ ნაფიც მსაჯულს, ორჯელ ეცადნა თავის მოკვლა და თუმცა ორჯერვე გადარჩენილიყო, მაინც ისეთი საშინელი სულის კვეთება გამოევლო, რომ დღესაც ერთი მოგონებაც კი შიშის ჟრუანტელსა ჰგვრიდა: ერთხელ დამბაჩა თურმე დაირტყა და როცა რაღაც განგებით გადარჩა, მატარებელს ჩაუვარდა ქვეშ, მაგრამ აქაც თურმე არ ეწერა სიკვდილი.

მესამემ, ტან-მორჩილმა, კარგათ ჩასუქებულმა და სუფთად ჩაცმულმა ყმაწვილმა, შემდეგი შემთხვევა უამბო ამხანაგებს:

„სულ 22 თუ 23 წლისა ვიქნებოდი მაშინ, როცა ეხლანდელი ჩემი ცოლი გაგიჟებით შემიყვარდა და ვთხოვე კიდეც გავებედნიერებინე და ცოლად გამომყოლოდა. ასე ადრე დაქორწინებისათვის მე ეხლა დიდის სიამოვნებით დავსაჯავდი ჩემ თავს, მაგრამ მაშინ კი რომ უარი ეთქვა ჩემს ნატოს და ცოლად არ გამომყოლოდა, არ ვიცი, ღმერთმანი, რას ჩავიდენდი. ჩემი ნატო იმ სიყვარულით მიყვარდა, რომლითაც რომანებში უყვართ ხოლმე—ყოველს წუთს მზად ვიყავი სიცოცხლე შემეწირა ჩემი კერპისთვის ან და სხვა რაიმე მსხვერპლი მომეტანა. ჩემი ბედნიერება მევე მახრჩობდა და სულს მიხუთავდა. არ ვიცოდი, სად წავსულიყავ და ვისთვის მიმემართნა. სუყველას მოვაბეზრე თავი—მამასაც, მეგობრებსაც და, ასე გასინჯეთ, მოსამსახურესაც კი. სუყველას იმას ვუამბობდი, თუ რა რიგად და რა ძალით მიყვარდა ჩემი ნატო. ბედნიერი ადამიანი ხომ ყოველთვის თავ მომაბეზრებელი და სევდის მომგვრელია!

სხვათა შორის მაშინ ერთი ახალგაზდა ვექილიცა მყვანდა მეგობრად. ეხლა ის მთელს რუსეთშია ცნობილი; მაშინ კი ჯერ ახლად იხვეჭავდა სახელს და, რასაკვირველია, არც ისე მდიდარი იყო, რომ ძველი მეგობარი აღარ ეცნო და ქუჩაში თავის დაკვრა აღარ ეკადრნა. იქამდის ვიყავით დაახლოვებულნი, რომ უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით—კვირაში სამჯერ თუ ოთხჯერ უნდა მივსულიყავით ერთმანეთთან. შევხვდებოდით თუ არა, გადავწვებოდით სავარძელში და მივეცემოდით ფილოსოფიას.

მახსოვს, ერთხელ, როგორლაც შეველი მასთან და სავარძელში რბილად ჩაგორებული ვამტკიცებდი, რომ ვექილობაზედ ცუდი პროფესია ქვეყნიერებაზედ სხვა აღარა მოიძებნება მეთქი. მე იმის დამტკიცება მინდოდა, რომ მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, მსაჯულს თავისუფლად შეუძლიან უბრალმდებლოდ და უვექილოდ დააბოლოოს საქმე, რადგან უკანასკნელნი არა თუ არა შველიან მოსამართლეს, პირიქით, უფრო აბანდებენ კიდეცა მეთქი საქმეს. თუ სულითა და გონებით სალი მსაჯული დარწმუნებულია, რომ ეს ჭერი თეთრია და ივანოვი დამნაშავე, ამ აზრს ვერც ერთი დემოსფენი ველარ შეურყევს და, ლაპარაკი არ უნდა, ვერც შეუცვლის მეთქი. აბა ვის შეუძლიან დამიმტკიცოს, რომ ქერა ულვაშები მაქვს, თუ ვიცი და კარგადა ვხედავ, რომ ულვაშები შავი მაქვს მეთქი? როდესაც კარგს ორატორს ვუსმენთ, შეიძლება ავღელდეთ და-

ვიტიროთ კიდეც მეთქი, მაგრამ ჩვენი დაბეჯითებითი გადაწყვეტილება კი, რომელიც უმეტეს ნაწილად ფაქტებზეა ხოლმე დამყარებული, სავსებით დაგვრჩება და ვერ შეგვერყევა მეთქი. ჩემი მეგობარი მეუბნებოდა—ყმაწვილი ხარ და ბავშვსავით სი- ტალანტი ბუნებრივი-სტიქიური ძალაა, ძლიერი ქარიშხალია, რომელიც ქვებსაც კი მტვრად აქცევს, არამც თუ ვიღაც მოქალაქეების და მეორე გილდიის ვაჭრების აზრს შეარყევს და შესცვლისო. ადამიანისათვის ისევე ძნელია ნიჭთან გამკლავება,



ხევსურთა კენწნაობა.

სულელეს ჰროტავო. ის იმ აზრისა იყო, რომ ფაქტი, რაც უნდა ცხადი და აშკარა იყოს, თუ კეთილ სინიდისიერი და



ხევსურთა კენწნაობა.

მცოდნე კაცი განმარტავს კიდევ და მეტად ასხნის, უფრო დასაჯერებელი და სარწმუნო შეიქმნებაო; მეორეც ესაო, რომ როგორც შეუიარაღებელი თვალისთვის პირდაპირ მზის ცქერა. ერთი უბრალო მომაკვდავი თავ᾽სი უბირი სიტყვის ძალით ათასს ველურს მოარჯულებს, რასაც უნდა იმას გააკეთებინებს, საითაც უნდა იქით წაიყვანს და რასაც უნდა იმას დაანახვებს. მთელი ისტორია სავსეა ამგვარი მაგალითებით. ცხოვრებაში ხომ ყოველ წუთს და ყოველ ნაბიჯზედ წააწყდებით ამის დამამტკიცებელ საბუთებს. ეს რომ ესე არ იყოს, სულელ კაცთან შედარებით ჭკვიანს და ნიჭიერს არავითარი უპირატესობა არ ექმნებოდაო.

მე ჩემს აზრზედ მჰიდროდ ვიდექი და ვამტკიცებდი, რომ დაბეჯითებითი რწმენა უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ნიჭი მეთქი, თუმცა, რომ გავტყდე და მართალი ვსთქვა, მაშინ არც კი მესმოდა ნიჭი და რწმენა რითი განსხვავდებიან. უსათუოდ მე მხოლოდ იმისთვის ვლაპარაკობდი, რომ რამეზედ მელაპარაკნა.

— აი, თუ გინდა შენი საქმე ავიღოთ მაგალითად,—სთქვა ჩემმა მეგობარმა,—შენ ხომ დარწმუნებული ხარ ამ ჟამათ, რომ შენი საცოლო ნამდვილი ანგელოზია და შენისთანა ბედნიერი კაცი ჩვენს ქალაქში ძნელად თუ სხვა ვინმე მოიძებნება; მე კი აი რას გეტყვი—საკმარისია ჩემთვის 15, 20 წუთი, რომ შენ აქვე, აი ამ მაგიდაზედ დასწერო შენს საცოლოსთან წერილი და ქორწინებაზედ უარი გამოუცხადო.

მე გამეცინა.

— მე მართალს გელაპარაკები და შენ კი სიცილათაც არა გყოფნის—მომიგო მეგობარმა: საკმარისია მე მოვისურვო, რომ ოცი წუთის შემდეგ შენი ქორწინების დარღვევას შენვე სთვლიდე ბედნიერებათ და ღმერთს მადლობას სწირავდე, რომ ცოლის შერთვას აგაცდინე. მართალია, მე დიდი ნიჭის პატრონი არა ვარ, მაგრამ შენც ხომ არა ხარ ძლიერთაგანი.

— აბა სცადე! - მივუგე მე.

— არა, რად მინდა? მე ისე... სიტყვამ მოიტანა და ვსთქვი. შენ გულკეთილი ბიჭი ხარ და სწორედ მტარვალობა იქნებო-



ტ ყ ე გაზაფხულის საღამოს

და ჩემის მხრით, რომ შენზედ გამომეცადა ჩემი სიტყვის ძალა. ამას ისიც დაუმატე, რომ დღეს მე სრულიად არა ვარ გუნებაზედ და არცა მსურს მაგგვარი ექსპერიმენტების მოხდენა.

ვახშამს შევუდექით. ღვინომ, ჩემ ნატოზედ ფიქრმა და ჩემმა უზომო სიყვარულმა თავისი ქნეს და ნეტარებით და სიცოცხლის სურვილით აავსეს მთელი ჩემი არსება. იმისთანა ბედნერად ვსთვლიდი ჩემს თავს, რომ ჩემი მეგობარი, თავისი ჩამწვანებული თვალებით, მეტის მეტ უმნიშვნელო, პატარა და უბედურ კაცად მიმაჩნდა.

— სცადე რაღა! გადავეკიდე და აღარ ვეშვებოდი — თუ ბიჭი ხარ და სცდი!... ჩემმა მეგობარმა თავი გააქნია და ცოტა არ იყოს მოიღუშა, ეტყობოდა, ამასაც მოვაბეზრე თავი.

— მე კარგათ ვიცი, რომ თუ გაგიგონე და თხოვნა შეგისრულე, ბოლოს მადლობელიც დამრჩები, მაგრამ საცოლოზედაც უნდა ვიფიქროთ და! საწყალს ძალიან უყვარხარ და შენგან უარის თქმა მეტად დასჩაგრავდა საცოდავს.



ეტიუდი. სამოკიშესი.

მერე რა მშვენიერი რამე გყავს და! მე და ჩემმა ღმერთმა, მშურს სწორედ შენი ბედნიერება!

ვექილმა ღვინო დალია და იმაზე დაიწყო ლაპარაკი, თუ რა მშვენიერი და ყოველის მხრით შემკობილი არსება ჩემი საცოლო. საკვირველი ნიჭი ჰქონდა იმ დაწყევლილს — ქალის წამწამი რა არის ან ქალის ნეკი, იმაზედაც კი მთელ საათს ილაპარაკებდა და მაინც ვერ გაათავებდა. მე სიამოვნებით ვუსმენდი ჩემს მეგობარს.

— ბევრი ქალი მინახავს ჩემს სიცოცხლეში —განაგრძო ჩემმა მეგობარმა, — მაგრამ, პატიოსან სიტყვას გაძლევ, გეფიცებით როგორც მეგობარს, რომ შენი ნატო მათ შორის ნამდვილი მარგალიტი და სუყველას თავმომყრელია; რასაკვირველია, ამას ვერ დაგიმალავ, ნაკლულევანებაც ბევრი აქვს, მაგრამ მაინც მშვენიერება რამ არის ის დასაქცევი.

ივ. პოლუმორდვინოვი

(დასასრული მე-10 №-ში)

# ნარევი და გასართობი

ერთს ღარიბს კაცს ქურდი შეჰპარვოდა ოთახში და სიბნელეში ხელებს აფათურებდა, იქნება ვნახო რამე მოსაპარავადო. ღარიბმა ოთახის პატრონმა წასჩურჩულა ქურდს: „ძმობილო, მე დღისით ვერა მიპოვია რა აქ და ღამე რა უნდა ნახო“!

* * *

საინტერესო ცნობებს ვკითხულობთ უცხოელ გაზეთებში პატარა კუნძულის პიტკარინის მცხოვრებთა შესახებ. კუნძული პიტკარინი მდებარეობს ავსტრალიის ახლო, პოლინეზიის კუნძულების სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს კუნძული 1790 წელს დაიპყრეს ინგლისელებმა და დაასახლეს იქ ხუთი თუ ექვსი ოჯახი. მთელი საუკუნის განმავლობაში ეს კუნძული თითქმის მოწყვეტილი იყო განათლებულ ქვეყანას და განმარტოებით ცხოვრობდა; ხუთ წელიწადში ერთხელ თუ მოადგებოდა კუნძულს რომელისამე განათლებულის სახელმწიფოს გემი. ინგლისელი მოგზაური კნოლინგი, რომელიც ამას წინად ყოფილა იქ, შემდეგ ცნობებს გვაწვდის კუნძულის მცხოვრებთა შესახებ:

სულ კუნძულზე ცხოვრობს 126 კაცი, რომელთა შორის უმეტესობა—ბავშვია. უხუცესი წევრი ახალშენისა—83 წლის ტურსდაი-ოკტობერ-ხრისტიანი არის; მის გარდა არის კიდევ ორი 75 წლის მოხუცი მამა-კაცი და 72 წლის დედა-კაცი. კუნძულზე არავინ იცის, რა არის თუთუნი და მაგარი სასმელი. ყოველი წევრი ახალშენისა, რასაკვირველია სრულწლოვანი, ვალდებულია დილის 5 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე აასრულოს რამე საზოგადო საქმე; დანარჩენ დროს ყველა თავის საკუთარ საქმეს აკეთებს. ქალები საოჯახო საქმეებს ასრულებენ. არავითარი ავადმყოფობა არ იციან კუნძულის მცხოვრებლებმა. მართვა-გამგეობა კუნძულზე ჩაბარებული აქვს პარლამენტს, რომელიც შესდგება 7 არჩეულ კაცისაგან; ამათ შორის არის პრეზიდენტიც რ. მეკოი. პარლამენტი განაგებს სასამართლო და საზოგადო-სამეურნეო საქმეებს. უფრო საყურადღებო საზოგადო საქმეებს არჩევს ყველა მცხოვრებთა საერთო კრება, მცხოვრებნი ლაპარაკობენ დამახინჯებულის ინგლისურის ენით, რომელიც თითქმის გაუგებარია ინგლისელისათვის.

საზოგადოდ, მცხოვრებნი მეტად კმაყოფილნი არიან თავის მდგომარეობით. ის-კი უნდა ითქვას, რომ მცხოვრებთა სულიერი მხარე სუსტად არის განვითარებული.



**მესაფლავე. (მღერის)** უძლურებამ, უვიცობამ
კლანჭი მაგრად ჩაგვჭიდაო;
უცხო მხარეს გადმოგტყორცნა,
უცნობ ხეზედ დაგკიდაო.
(ამოაგდებს ადამიანის თავის ქალას)

**ჰამლეტი.** რა არის ეს? (უჩვენებს თავის ქალაზე).
**მესაფლავე.** ეგ ცარიელი თავია, უენო და უგონებო...
**ჰამლეტი.** მე მაგას არა გკითხავ, მინდა გავიგო—ვისია?
**მესაფლავე.** შენი, რადგან.....
**ჰამლეტი** (ჰორაციოს). გესმის, ჰორაციო, რამდენად ძნელია ამ დროში ლაპარაკი, ენა მებმის, პასუხი ვერც კი მიმიცია ამ მახვილ შენიშვნაზე.



— საკვირველია, მე მახსოვს ამ ზანდუკში გუშინ ფული იყო, ახლა კი ამას რასა ვხედავ?!...



**ხმოსნები.** რათა სტირი, რა არის?
**გამგეობა.** როგორ არ ვიტირო, კასსა გაქურდეს!
**ხმოსნები.** დამშვიდდი, დამშვიდდი, მაგისთანა უბრალო რასმეზე ჩვენ არას დროს არა ვწუხვართ.
**გამგეობა.** ფულის დაკარგვას კი არა ვწუხვარ, პასუხის გებასა ვჩივი...
**ხმოსნები.** მაგაზე ხომ სრულიად თავს არ ავიტკივებთ.

გაზეთი **„ცნობის ფურცელი“** სურათებიანი დამატებით და ჟურნალი **„მოამბე“** 1-ლ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ. ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთათვის და 4 მან. ტფილისის მცხოვრებთათვის.

ცალკე ნომერი გაზეთისა სურათებიანი დამატებით ღირს 5 კაპეიკად.

რედაქტორი: ალ. ჭყონია
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Октября, 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.